ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 იანვარი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 21 (10 190) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩემპიონის თვალით...

საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატთა მიღწევები კარგადაა ცნობილი და მაინც, ზოგადად შეგახსენებთ — სპორტის ამ სახეობაში, ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად, მათ სსრ კავშირის ჩემპიონატის ყველა ხარისხის მედალი მოიპოვეს, თავი გამოიჩინეს საკავშირო თასის გთამაშებაში, წარმატებებს მიაღწიეს ევროპულ ჩემპიონატებში და თასისთვის ბრძოლაში.

ისინი უფრო დიდი გამარჯვებებისთვისაც ემზადებიან, მაგრამ ახლა სხვა რამ გვაინტერესებს — როგორი ცვლა ეზრდებათ ჩვენს დღევანდელ ლიდერებს, საერთოდ, საქართველოს ნაკრების წევრებს?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გამართულ გოგონათა რესპუბლიკურ პირველობას, რომელიც კვირას დასრულდა. ასპარეზობაში ადგილობრივი პირველობა და მეორე გუნდის წევრთა გარდა, გამოიიოდნენ ქუთაისისა და ბორჯომის სპორტსმენებიც. შეჯიბრებაში 1975-წელსა და შემდგომ დაბადებული 52 გოგონა ჩაება. ეს რეკორდული მაჩვენებელია და, ბუნებრივია, სასიამოვნო ფაქტიც გახლავთ, მაგრამ მხოლოდ რაოდენობით შორს ვერ წავალთ, თუ ხარისხიც სათანადო არ იქნა.

იმისთვის, რომ ასპარეზობის მონაწილეთა მომზადების დონე უკეთ გაგვეგო, შეჯიბრებას სსრ კავშირისა და გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონთან, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ნინო მაისურაძესთან ერთად ვადევნებდით თვალს და მის კომენტარებსაც ყური მივუგდეთ. იმ დროს ერთეულთა თანრიგის მონაწილენი გამოდიოდნენ.

სარბიელზე ხათუნა წიკლაურს უხმეს.

—ეს გოგონა განსაკუთრებით ძლიერია სავალდებულო პროგრამით გამოსვლაში — გვეუბნება ნინო მაისურაძე. — იქ მოგროვილი ქულები მოგეხსენებათ, ერთეულთა ნებისმიერი პროგრამით და წყვილთა ასპარეზობაში ნაჩვენებ მაჩვენებელს ერიცხება და საბოლოო შედეგებზე დიდ გავლენას ახდენს. ამიტომ მგონია, რომ იგი აქაც გაიმარჯვებს, თუმცა, იქნებ ვცდები და მისმა თანაგუნდელმა ნატალია პლოტნიკოვამ იმარჯვოს. მართალია, პლო-

იხ. მე.2 გვ



სურათზე: ხ. წიკლაური.
ა. გურასაშვილის ფოტო.

ოდესმე—ეროვნული ნაკრებით

საქართველო ადრე თუ გვიან შეძლებს სპორტის ყველა სახეობაში გამოიყვანოს ეროვნული ნაკრები გუნდები, რომელთა სტატუსი საერთაშორისო დებულებითაც იქნება განმტკიცებული. თუ რამდენად ჩქარა მოხდება ეს, დამოკიდებულია საერთო პოლიტიკურ ვითარებაზე და, თავს ძალიან ნუ მოვისაწყლებთ, ჩვენზე, ჩვენს მიზანმიმართულ მოქმედებაზე, ჩვენი პოზიციის შეურყევლობაზე. მანამდე კი ეროვნული გუნდების გამოყვანა შეგვიძლია მხოლოდ უფრო დაბალი რანგის შეჯიბრებებში, ისიც ხშირად — ნებართვის აღების შემდეგ.

ეროვნული გუნდის ფორმირება ადვილი საქმეა, მისი აღზევება სათანადო რანგში — უძნელესი (ჩვენს პირობებში, რა თქმა უნდა). ამისათვის ყველა ხელსაყრელი შემთხვევა უნდა გამოვიყენოთ...

გადაწყვეტილი იყო, რომ ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ გორში ჩატარებულიყო საქართველოსა და თურქეთის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. უკვე გაცნობეთ, რომ ამ მატჩს თავიდანვე შეექმნა საფრთხე, რადგან ოთხმა თურქმა მოჰიდავემ საბჭოთა საელჩოში ვიზა ვერ მიიღო. თან ტურნირის შემდეგ მატჩის ჩატარება ყოველთვის სარისკოა, რადგან სამდღიან შეჯიბრებაში ტრავმისგან არავინ არის დაზღვეული. ამიტომ მასპინძლებმა ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება ისთხოვეს ირანელებსაც, რათა მატჩი მიკრომატჩად არ ქცეულიყო. და გუშინ გორში სამი გუნდი გაემგზავრა.

გორში ჰიდაობა დაახლოებით იგივეა, რაც ბრაზილიაში ფეხბურთის თამაში. ცნობილი ფალავნების ლერი ხაბელოვისა და დავით გობეჯიშვილის გამოსვლა თვით გორელებისთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენაა და ქალაქის საჰიდაო დარბაზი შეჯიბრების დაწყებამდე ფუტკრის სკას ჰგავდა. მასპინძლებიც საგულდაგულოდ მომზადებულიყვნენ. ოღონდ მაყურებლებს გარკვეული იმედგაცრუება ელოდათ: დავით გობეჯიშვილს მეტოქე არ ჰყავდა, ხოლო თურქი მოჰიდავე, რომელიც ხაბელოვის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, ტურნირის დამთავრებისთანავე რაღაც საქმეზე სასწრაფოდ გამგზავრებულა სამშობლოში. ასე რომ, ჩვენს სახელოვან ფალავნებს ისღა დარჩენოდათ, მაყურებლებს მისალმებოდნენ და საქმე ამით დაემთავრებინათ.

თურქეთის გუნდთან შეხვედრები ხუთ წონითს კატეგორიაში გაიმართა, ირანელებთან — ექვსში. ორივე მატჩი მასპინძლებმა მოიგეს პირველი — ანგარიშით 3,5:1,5 (ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა), მეორე — 3:2 (ერთ შერკინებაში ორივე მეტოქე მოხსნეს).

ამ შეხვედრებში იყო ყველაფერი, რაც სერიოზულ შეჯიბრებებზე გვინახავს: საინტერესო შერკინებაც, მსაჯების ხანგრძლივი ბჭობაც, სიტყვიერი პროტესტებიც... ისიც ნათელია,რომ ასეთი მინიმატჩები „ერთ „ნამდვილ“ მატჩს ვერ შეცვლიდა.

მასპინძლებმა ამ შეხვედრების მოსაწყობად ხელსაყრელი შემთხვევით თბილისის საერთაშორისო ტურნირით ისარგებლეს. მაგრამ ალბათ უკვე შეიძლება დავიწყოთ ზრუნვა, რომ ეს მატჩები წლის სპორტული კალენდრის მუდმივი ღონისძიებები გახდეს, მით უმეტეს, რომ იგი მაინცდამაინც არ არის გადატვირთული. ასეთ შემთხვევაში მატჩები განუზომლად მეტ ინტერესს გამოიწვევს და საყურებლადაც გაცილებით უკეთესი იქნება.

გიორგი ჩოჩიშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.



სურათზე: ეროხი ელოშვილმა წმინდად დაამარცხა ბოვად ასადი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ვინ არიან პრიზიორები?

როგორც ვიუწყებოდით კიევში დამთავრდა საკავშირო საუწყებო ჩემპიონატი ძიუდოში. საპრიზო ადგილები ამ უაღრესად საინტერესო და დაძაბულ ტურნირში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებმა ასე გაინაწილეს:

არმიის სპორტკლუბი	3	5	4
პროფკავშირები	3	1	5
„დინამო“	2	2	6
„შრ. რეზერვები“	—	—	1

პრიზიორთა შორის მოხვდნენ ჩვენი ქვეყნის 20 სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენლები:

თბილისი	2	1	1
გორი	2	—	—
გროზნო	1	1	1
მახაჩყალა	1	1	1
კურსკი	1	—	—
კუიბიშევი	1	—	—
ჩელიაბინსკი	—	2	1
ვოლგოგრადი	—	1	—
კიევი	—	1	—
ლენტეხი	—	1	—
ქუთაისი	—	—	2
ალმა-ათა	—	—	2
მაიკოპი	—	—	1
პავლოდარი	—	—	1
ოდესა	—	—	1
მოსკოვი	—	—	1
პერმი	—	—	1
კოლომნა	—	—	1
რიგა	—	—	1
სუმი	—	—	1

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

60 კგ. 1. ი. ბახაევი (გროზნო), 2. კ. **ქურასპედიანი** (ლენტეხი), 3. რ. გამზათოვი (მახაჩყალა) და ა. გუჩეტლი (მაიკოპი).

65 კგ. 1. გ. **მოდებაძე** (თბილისი), 2. ვ. შიშკინი (ჩელიაბინსკი), 3. ს. აშიროვი (პავლოდარი) და ა. ხამხოევი (ალმა-ათა).

71 კგ. 1. **გ. თენაძე** (გორი), 2. მ. ალიევი (მახაჩყალა), 3. **ბ. ჯიქური** (თბილისი) და ლ. ბედარიევი (ჩელიაბინსკი).

78 კგ. 1. რ. იბრაჰიმოვი (მახაჩყალა), 2. ბ. ვარაევი, 3. რ. მაზაევი (ორივე — გროზნო) და კ. მასიკბაევი (ალმა-ათა).

86 კგ. 1. ა. სივცოვი (კურსკი), 2. ვ. იუდანოვი (კიევი), 3. ვ. ბუდიუკინი (მოსკოვი) და ვ. შესტაკოვი (პერმი).

95 კგ. 1. **კ. კურტანიძე** (გორი). 2. გ. გაურგაშვილი (ჩელიაბინსკი). 3. ე. პეჩუროვი (კოლომნა) და ვ. ვოინოვი (რიგა).

მძიმე. 1. ს. კოსოროტოვი (კუიბიშევი), 2. **ვ. პარუნაშვილი** (თბილისი), 3. **დ. ხახალეიშვილი** (ქუთაისი) და ი. მეეროვიჩი (სუმი).

აბსოლუტური. 1. **ზ. დაბრუნდაშვილი** (თბილისი), 2. ს. პოპოვი (ვოლგოგრადი), 3. **დ. ხახალეიშვილი** (ქუთაისი) და გ. იარემენკო (ოდესა).

ოლიმპიელთა პარადზე

დღეს მოსკოვში გაიმართება ქვეყნის ოლიმპიურ ჩემპიონთა პირველი მეჯლისი. ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე საფუძველი ჩაეყრება „ოლიმპიური ღირსების“ სტელას.

ამ ზეიმში მონაწილეობისათვის მოსკოვს გაემგზავრნენ საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები: დავით ციმაკურიძე, დავით გობეჯიშვილი, ლევან თედიაშვილი, მირიან ცალქალამანიძე, გივი კარტოზია, ვახტანგ ბლაგიძე, რომან რურუა, შოთა ჩოჩიშვილი, შოთა ხაბარელი, მიხეილ ქორქია, რობერტ შავლაყაძე, ვიქტორ სანეევი, ვლადიმერ აფციაური, ნუგზარ ასათიანი, რაფაელ ჩიმიშკიანი, ვლადიმერ გოგოლაძე, გალინა შარაბიძე და სხვები.

ინფორმაცია

გათუმი. 30 იანვარი (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ტარდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. შეჯიბრებაში ჩაება 76 მოჭადრაკე. სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობენ ნიკოლოზ ლეკვეიშვილი და თემურ გატიკოევი.

განვიხილავთ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს

შეცდომებს ნუღარ გავიმეორებთ!

სხვისა არ ვიცი, და მე პირადად ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრობლემებისადმი მიძღვნილ არცერთ დოკუმენტს არ ავუღლევებივარ ისე, როგორც „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების კონცეფციის პროექტს“. ფაქტია: კონცეფციის მიზანდასახულებათა ხორცშესხმა ძირიოადად იმ პერიოდში უნდა მოხდეს, როცა საქართველოში დამკვიდრებული იქნება ნანატრი სუვერენიტეტი. რა დასამალია, რომ მივეჩვიეთ ხელის ჩაქნევას მთელ რიგ ახალ სადირექტივო დოკუმენტზე (რას იზამთ, ასე გავიზარდეთ); ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტის ისტორია ხომ სავსეა ლამაზი დადგენილებებითა და მათი შეუსრულებლობის, ჩაფლავების სავალალო ფაქტებით. ახლა ასე ფიქრის უფლება არცერთ ჩვენგანს აღარ აქვს. საქმე ეხება ახალ საქართველოს, მისი მოსახლეობის ყველაზე დიდ სიკეთეს — ჯანმრთელობას, სპორტულ ზეაღსვლას. ახლა ამ უდიდესი ეროვნული საქმის განხორციელების ჟამს, თუ ძველმა სტერეოტიპებმა გაგვახსენა თავი და „წამატება“, „თვალის ახვევა“, „სკეპტიციზმი“, „კორუფცია“ და ახლო წარსულის სხვა დამღუპველი მოვლენები საბოლოოდ არ უარვყავით, ამ საშურ წამოწყებასაც უფსკრულში გადავუძახებთ.

ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის მეტი რა მიკეთებია! ნება მომეცით დამოუკიდებელი საქართველოს მკვიდრთა ფიზიკური გაჯანსაღებისათვის ბრძოლის ამ მეტად პასუხსაგებ ჟამს გულწრფელად, კეთილი გრძნობით გაგახსენოთ ისტორიის ზოგიერთი მწარე გაკვეთილი, რომლის გათვალისწინებაც უეჭველად სარგებლობას მოგვიტანს:

პირველი: დავიწყოთ იმით, რომ „კონცეფცია“ და მის ნიადაგზე შექმნილი კონკრეტული გეგმები — სამთავრობო დოკუმენტებია. ადრე, დასახული მიზანი რომ სამარცხვინოდ ჩაგვეფუშებოდა, მთავრობის სახლიდან გვესმოდა: ჩვენ შესანიშნავი დადგენილება მივაწოდეთ მასებს, მაგრამ შემსრულებლები არ ვარგოდნენო. ამ საყვედურში სიმართლის მხოლოდ რამდენიმე პროცენტი ურევია, დიდი ნაწილი მცდარია და თავის მართლების ცდას წარმოადგენს. კონკრეტული გეგმების შესრულებაში ნომერ პირველ პასუხისმგებლად მაინც მათი შემდგენლები რჩებიან. მიიღე სადირექტივო დოკუმენტი?! კეთილი ინებე, ბოლომდე ჩასდიე მის შესრულებას, დაავალე, მოსთხოვე, მიუთითე, თუ საჭიროა დასაჯე კიდეც. მაგრამ შენი დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანე. „ვიყიელე, გათენება კი თქვენი საქმეაო!“ — ეს მორალი ახლა არავის გამოადგება.

იხ. მე.2 გვ

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდიუმის

გუნდების და რაგბის წევრთა საყურადღებოდ!

დღეს, 31 იანვარს, თბილისის სარაგბო კლუბ „შევარდენში“ (შეროზიას ქუჩა,11) მოეწყობა საქართველოს რაგბის კავშირის საგანგებო სხდომა, რომელზეც განიხილება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამართვის საკითხი.

სხდომა დაიწყება 20 საათზე. გუნდების წარმომადგენლებისა და პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს რაგბის კავშირი.

შეცდომებს ნულარ გავიმეორებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მეორე: ბუნებრივია, რომ „კონცეფციის პროექტი“ დიდ ყურადღებას უთმობს სკოლამდელთა ფიზიკურ აღზრდას: III თავის ა პარაგრაფის 1, 3, 4 და 7 პუნქტებში ლაპარაკია საბავშვო ბაღებში სავარჯიშო ოთახების, საჭყუმპალაოების მოწყობა-შენებლობაზე, იმაზე, რომ „ყველა საბავშვო ბაღს უნდა ჰქონდეს ფიზიკურ აღზრდის მეთოდისტის საშტატო ერთეული“. ვიყოთ პირდაპირნი: დღეს მცირე როდია რიცხვი საბავშვო ბაღების იმ დირექტორებისა და აღმზრდელებისა, რომლებიც ამრეზით უყურებენ საჭყუმპალაოებს, ბავშვების გაციებისა და აუტკივარი თავის ატკივების შიშით, რომ .ცხოვრობენ. ეს დიდად დამაბრკოლებელი სტერეოტიპია, რომელიც ნორჩების ფიზიკური წრთობის აუცილებლობის რწმენით უნდა შეიცვალოს, და კიდევ: ამ სამი წლის წინათ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტმა სკოლამდელი დაწესებულებების მესვეურებთან შეთანხმებით მოამზადა საბავშვო ბაღების ფიზიკური აღზრდის 15 სპეციალისტი: იმხანად საკითხი მოუმზადებელი აღმოჩნდა და ფაქტიურად ეს სპეციალისტები ისევ საშუალო სკოლებში წავიდნენ სამუშაოდ. ახლა კი გარკვეული გვეუბნებიან, რომ მივაღწიოთ შტატის გამოყოფას ყველა სკოლამდელი დაწესებულებისათვის. საქართველოში კი 3600 საბავშვო ბაღია. კარგად გაეცინაგრძეგანოთ ეს ფაქტი!

მესამე: „კონცეფციის პროექტში“ ფართოდ შუქდება აგრეთვე ფიზიკური აღზრდის განვითარების საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. „კონცეფციის პროექტის“ მიხედვით ფიზიკურ კულტურაში დღევანდელი 2-საათიანი •კვირეული დატვირთვიდან 6-8 საათიან დატვირთვას უნდა მივაღწიოთ. ვინც ამ იდეალური დონის თანდათანობით მიღწევისათვის გეგმების შედგენას უხელმძღვანელებს, მიხვდება, ამისათვის რამდენი სერიოზული მომენტის სისრულეში მოყვანაა საჭირო; ესენია — სავარჯიშო ბაზის, პირველ ყოვლისა კი დარბაზების მშენებლობა, პედაგოგთა კადრების მომზადების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა; საბოლოოდ მაინც ყველაფერი სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის მოქნილობაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ კი ამ მხრივ საკმაოდ მწარე გამოცდილება გვაქვს; რაც შეეხება კადრების მომზადების საკითხს, ამას დოცენტ რ. კერესელიძესთან ერთად გაზეთ „ლელოში“ ვრცელი წერილი ვუძღვენით (1989, №143 „მოვუაროთ საქართველოს“). და ამდენად ჩვენს მიერ შემოთავაზებულ დებულებებს აღარ გავიმეორებთ; ერთი შენიშვნა კი მაინც უნდა გავაკეთოთ: საკადრო პოლიტიკის დარგში არაფერი გამოგვივა, თუ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოების, სკოლების ხელმძღვანელობა იქ ჩასული ფიზკულტურული მუშაკის, პედაგოგის, მწვრთნელისა თუ მეთოდისტის, როგორც სპეციალისტების, მკაცრ შემფასებლად არ მოგვევლინება; კურსდამთავრებულს მკაცრი გამოცდისა და ყოველდღიური კონტროლისა უნდა ეშინოდეს. თორემ, რა გამოდის: ჩავდივართ რაიონში ჩვენს მიერ გამოშვებული სპეციალისტების, უკვე როგორც ფიზკულტურული მუშაკების, საქმეთა გასაცხობად, რაიკომის მდივანს თუ განათლების განყოფილების გამგეს ვუსახელებთ თავის დროზე ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ და ხელით სათრევ კურსდამთავრებულს, და გვესმის აღფრთოვანებული პასუხი — ჩვენი ნამდვილი მარჯვენა ხელიაო! თურმე რაში ყოფილა საქმე: ეგი ზედმიწევნით კარგად ასრულებს ზემდგომი ორგანოების ისეთ ერთ-დროულ დავალებებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე ბავშვების გაყვანა, მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობა, მოედნისათვის საჭირო სამშენებლო მასალის „შოვნა“ და სხვა მისთანანი, ე. ი. იმას, რისთვისაც აბსოლუტურად არაა საჭირო ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრება; მის მიერ ფიზიკური კულტურის გაკვეთილების, კლასგარეშე თუ სკოლისგარეშე სპორტული მუშაობის მეთოდურ დონეს, მის ხარისხს ხელმძღვანელთა უმრავლესობა ანგარიშში არ აგდებს. შეფასებათა ასეთი კრიტერიუმებით დაკმაყოფილება, ცხადია, დაღუპავს საქმეს.

არანაკლებ საფიქრალს გვიჩენს „კონცეფციის პროექტის“ ის მუხლიც, რომლის თანახმადაც უნდა მივაღწიოთ თითოეულ აკადემიურ ჯგუფზე ფიზიკურ აღზრდაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე დატვირთვის გაზრდას კვირაში 8-10 საათამდე. აქაც ერთი ბევრის მთქმელი გაკვეთილის გახსენება დამჭირდება: ამ ათიოდე წლის წინ ჩვენს სკოლებში დაინერგა ერთი სასიამოვნო სიახლე: თვეში ერთხელ მთელი სკოლა — მოსწავლე-მასწავლებლებიანად გადიოდა ქალაქგარეთ მისთვის წინასწარ დაგეგმილ ადგილზე, სადაც იმართებოდა სასარგებლო გართობა-თამაშობანი, შეჯიბრებები; მახსოვს ამ საქმის თეორიული და პრაქტიკული უზრუნველყოფის მიზნით ბევრი გააკეთა აწ გარდაცვლილმა შესანიშნავმა პედაგოგმა გრელი გუგუშვილმა. მაგრამ ჩქარა ძალაში შევიდა მგლის შიშით ცხვრის გაწყვეტის ტენდენცია, — ვაი თუ ტყეღრეში გასულ ბავშვებს რაიმე ხიფათი შეემთხვეთო, —სკოლების ხელმძღვანელებმა დაიწყეს ამ ღონისძიებისათვის თავის არიდება, ბოლოს კი მიაღწიეს მის ოფიციალურ გაუქმებას. თვეში ერთდღიანი ლაღი ცხოვრება ვერ ვიჩუქეთ ბავშვებს, ყველაფერი გაკეთდა, რომ ეს ყოვლად სასარგებლო წამოწყება ძირშივე ჩაქოლილიყო, და თუ ჩვენი სასკოლო ცხოვრების მესვეურებმა ამ ძველებური სტერეოტიპით გააგრძელეს მუშაობა, გასაგები გახდება, რომ „კონცეფციით“ გათვალისწინებულ იდეალურ დონეს ვერასოდეს ვერ მივაღწევთ.

მეოთხე: ბუნებრივია, ყველა ელოდა, რომ „კონცეფციის პროექტში“ დიდი ადგილი დაეთმობოდა ტურიზმის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო ორ პრობლემაზე, ესენია — ქვეითი ტურიზმის მასობრიობა და ტურიზმის დახმარებით გასვლითი გაკვეთილების ჩატარება ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში. როცა ამ პრობლემათა გადაწყვეტის მიზნით კონკრეტული გეგმების შედგენას შევუდგებით, ნუ დავივიწყებთ, რა დონიდან მოგვიწევს „კონცეფციაში“ ფიქსირებულ იდეალურ დონემდე ამაღლება. მწარე სიმართლეა, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა საქართველოში ქვეით, ე. ი. გამაჯანსაღებელ ტურიზმს მისდევს მოსახლეობის მხოლოდ 1-2%. გამობრძანდით კვირა დღეს თბილისის საგარეუბნო ბილიკებზე, და მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი პატარა ტურისტული ჯგუფი რომ შეგხვდებათ, უმალ დარწმუნდებით ამაში.

რაც შეეხება ე. წ. „გასვლითს გაკვეთილებს“ ლიტერატურაში, ისტორიაში, ბიტანიკაში, გეოგრაფიაში და ა. შ., ეს მეტად საჭირო სიახლე ჟურნალ „მართველთან“ ერთად დავნერგეთ ქ. თბილისის 117-ე სკოლაში 1975 წლის მაისიდან, მაგრამ ეს იყო და ეს. შემდგომში არცერთ სკოლას არ შეუწუხებია თავი მოსწავლეთათვის ამ უაღრესად სასარგებლო ღონისძიების დანერგვით. და „კონცეფციის პროექტში“ ფიქსირებული საკითხი იმის შესახებ, რომ „სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა გაკვეთილებში ფართოდ იქნეს გამოყენებული ტურიზმი და ექსკურსიები“ — ფაქტიურად თავიდან დასაწყებია. დასაწყისში ნუ მოისურვებთ „ოქროს კოშკების“ დადგმას, დავგეგმოთ — რამდენსაც „გავწევთ“, შემდეგ კი თანდათან გავზარდოთ მასშტაბები.

მეხუთე: „კონცეფციის პროექტის“ VI თავი 5 და 7 პუნქტებში ლაპარაკია ეზოებში ბავშვთა მოედნების მოწყობასა და მაღალი კორპუსების ქვეშ სპორტული დანიშნულების ობიექტების გამოყოფაზე. იმდენი ვატყუეთ ბავშვები ეზოებში მოედნების მასობრივად მოწყობასთან დაკავშირებით, რომ გარეგნულად მეტად ჰუმანური ლოზუნგი —„ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“ — თვით ბავშვებს აღარ ჰყოფნით სიცილად. უგულისყურო და ეგოისტი „უფროსი ძიების“ წინააღმდეგობა — აი, ყველაზე მეტად რა დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ მათ, ვინც ეზოებში ბავშვთა მოედნების მოწყობას უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება დიდი შენობების ქვეშ სპორტული დანიშნულების ობიექტების გამოყოფას, ეს იდეა ახალი არ არის: ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინ ჩვენი ცნობილი კალათბურთელი ოთარ ქორქია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ქალაქის შენობების ქვეშ დახურული სარბენი ბილიკების მოწყობაც კი შეიძლება. მე და ბატონმა ოთარმა ერთად დავათვალიერეთ რამდენიმე შენობა გურამიშვილის ქუჩაზე (ვაკე-საბურთალოს გადასასვლელთან) ვნახეთ ერთი ვესტიბიული, რომელიც საკმაოდ მცირე დანახარჯებით შეიძლება დახურულ მანეჟად იქცეს.

სამწუხაროდ, მაშინ ქალაქის მესვეურებმა, როგორც იტყვიან, მებაღის ყურები გამოისხეს. მიუხედავად ასეთი ხელოვნური წინააღმდეგობებისა, მაინც უნდა დავგეგმოთ და მივუბრუნდეთ ამ იდეის ხორცშესხმას. ეს მეტად საშური საქმეა.

მეექვსე: ზუსტად იგივე დაემართა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ერთ კურსდამთავრებულს, ამბროლაურის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს, აწ გარდაცვლილ ა. ვაჩაძეს, რომელიც რამდენჯერმე ჩამოვიდა თბილისში, ყველა ინსტანციაში, პირველ რიგში კი, რესპუბლიკის სპორტკომიტეტში, დაატარებდა სახელდახელოდ შედგენილ პროექტებს იმის შესახებ, თუ როგორ და რა საშუალებებით შეიძლებოდა შაორის წყალსაცავზე ზამთრის სპორტული ბაზის (საცგურაოს) მოწყობა; ამაოდ იარა კარდაკარ, რამდენი გულუბრყვილო ჰყავს ღმერთსო, — ქირქილებდნენ სკამებზე მომცხვარი ფუნქციონერები; კეთილი სურვილი ჭაბუკმა თან ჩაიტანა საფლავში, და აი, გადის რამდენიმე წელი და „ღღევანდელი „კონცეფციის პროექტში“ შავით თეთრზე ჩაიწერა: „შაორისა და სხვა მაღალმთიან წყალსატევებზე მოეწყოს სადგურები ზამთრის (საცგურაო) სპორტის განვითარებისათვის“. ამ სამუშაოს, როგორც „კონცეფციის პროექტშია“ აღნიშნული, თავი უნდა მოაბას პროფკავშირთა ნფსს რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სპორტსახკომმა. ღმერთმა ხელი მოუმართოს მათ ამ კეთილ საქმეში!

მეშვიდე: „კონცეფციის პროექტი“ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საკითხებით მთავრდება. ჩვენი პრესა, რადიო, ტელევიზია ამ საქმის ჭეშმარიტი ფლაგმანის როლში გვევლინება და „კონცეფციის პროექტიც“ პროპაგანდის ამ მძლავრი საშუალებების იმედზეა. მაგრამ, სამწუხაროდ, გამოტოვებულია არანაკლებ მძლავრი საშუალება — ლექციური პროპაგანდა. იმედია, საზოგადოება „ცოდნის“ მესვეურები ამას „კონცეფციის პროექტის“ ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნევენ და თავადაც ჩადგებიან ამ სახელმწიფო დოკუმენტის მიზანდასახულებების შემსრულებელთა რიგებში.

ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა საკმაოდ მრავალწახნაგოვანი დარგია, მასთან დაკავშირებით ყველა პრობლემას ერთ საგაზეთო წერილში ვერ ჩატევ, მაგრამ ვიტყვი მხოლოდ ერთ პრობლემაზე, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ერთიანი ძალით უნდა შეეჭიდოს. მხედველობაში მაქვს თვალის მოხუჭვა და აუხსნელი დუმილი იმ მუდმივ გამოლაშქრებაზე, რასაც საკავშირო სპორტული პრესა და ტელევიზია ახორციელებდა ქართული სპორტის მიმართ, სპორტულ საკითხებს მოხდენილად იყენებდა ქართული ერის სალანძღავად, თავის ხმას უერთებდა საერთო ჯვაროსნულ იდეოლოგიურ ომს საქართველოს წინააღმდეგ და საბოლოოდ არც თუ მცირე როლი შეასრულეს 9 აპრილის ტრაგედიის შეშფოთებაში. ახლა ძნელია გაიხსენო როდის დაიწყო ეს დიდმპყრობლური აქციები ქართული სპორტისა და საერთოდ საქართველოს წინააღმდეგ, იქნებ მაშინ, როცა პატარა ეროვნულ ნონი გაფრინდაშვილის ყველი წარმატების შემდეგ მსოფლიო ბრიჯულობაზე ბოკოვასთან, საკავშირო პრესა გლოვას აცხადებდა, ან იქნებ მაშინ, როდესაც თბილისის „დინამოს“ 1964 წლის ტაშკენტური ტრიუმფით თბილისში გამეფებულ მასობრივ სიხარულს „სოვეტსკი სპორტმა“ ყოვლად უხამსი პასკვილი უძღვნა, რა მოხდა, რას ტინგიცობენ მტკვრის ნაპირებზეო, ანდა იქნებ ქართველთადმი ზიზღის გრძნობის მასობრივ გაღვივებას მაშინ უფრო მიეცა გასაქანი, როცა ვიღაც ვიგინდარა იური შანინმა ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილ თავის უდღეურ წიგნში (1975 წ.) ქართველთა სათაყვანო თამარ მეფე ყოვლად ზნედაცემულ ქალად დაუხატა თავის რუს მკითხველს, მჯერა ამ ისტერიას ისეთი პუბლიკაციებიც აღვივებდა, რომელშიც საბჭოთა ნაკრების ესა თუ ის მარცხი მხოლოდ ქართველ სპორტსმენებს ბრალდებოდა (გაიხსენეთ წერილები, სადაც საბჭოთა ფეხბურთელების მარცხი ჰელსინკის XV ოლიმპიადაზე მხოლოდ ავთანდილ ჭკუასელს გადააბრალეს. სულ ახლახან კი საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჩვენი გუნდის მარცხი დააბრალეს მაია ჩიბურდანიძეს, რომელმაც ის-ის იყო შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ამ დიდ შეჯიბრებაში დაუსვენებლად ჩაბმულს არცერთი შეხვედრა არ წაუგია. ამ დროს კი დუმილით აუარეს გვერდი აზმილოვსკაის, რომელმაც ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში მიატოვა გუნდი და ვიღაც უცხოელს გაეკიდა). ასე მოდიოდა შეურაცხყოფისა და ლანძღვის ნიაღვარი, რომელიც დააგვირგვინა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა სტაროსტინმა; ბერიამ იმის გამო დაიწყო ჩემი რეპრესიები, რომ ადრე, როცა ის თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, მოედანზე რამდენჯერმე მოვატყუეო, — გულისამრევად იცრუა მოდას აყოლილმა სპარტაკელმა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბერიას და მისი ჯიშის ხასიათის სისასტიკეს.

„კონცეფციის პროექტით“ გათვალისწინებული პროპაგანდისტული მუშაობის მესვეურებს ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომავალში არცერთ ზემოხსენებული დიდმპყრობელური გამოხდომა არ უნდა დავტოვოთ უპასუხოდ— რუსულ პრესაში. კი შეგვეხვდება დიდი წინააღმდეგობანი, მაგრამ თუ თვალი მოვხუჭეთ, ძველ შეცდომებს გავიმეორებთ, რამაც შეიძლება ისევ დიდ ეროვნულ ტრაგედიამდე მიგვიყვანოს!

ძვირფასო მეგობრებო, მალე „კონცეფციის პროექტი“ იურიდიულ დოკუმენტად იქცევა. შეუდგეთ მუხლჩაუხრელ მუშაობას, გავითვალისწინოთ ძველი შეცდომები, მათგან მიღებული გაკვეთილები, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, და ერთად ვიღაწოთ ახალი, ერთიანი და თავისუფალი საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განმტკიცებისათვის.

ავთანდილ ციბაძე,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ჩემპიონის თვალით...

(დასასრული)

ტნიკოვა წიკლაურს „სკოლაში“ ჩამორჩება, მაგრამ ნებისმიერ პროგრამაში ცოტა უკეთ გამოიყურება.

თუ როგორ დამთავრდა წიკლაურისა და პლოტნიკოვას პაექრობა, ამ წერილთან ერთად დაბეჭდილ ტექნიკურ შედეგებში იხილავთ, მანამდე კი მაისურაძის კომენტარს მოვუსმინოთ:

— აი, ამ სოხუმელ გოგონას ყველა მონაცემები აქვს, რომ სინქრონული ცურვის ნამდვილი ოსტატი დადგეს, მაგრამ მას და მის თანაგუნდელებს ვარჯიშის ნორმალური პირობები არ აქვთ. ზამთრობით ისინი უწყლოდ რჩებიან და მხოლოდ დარბაზში მეცადინეობენ — ფიზიკურ მომზადებასა და ქოროგრაფიაში. ამიტომაა, რომ ეს გოგონაც და მისი თანაგუნდელებიც ახლა წყალქვეშ ნაკლებად მოძრაობენ. მთელი ყურადღება წყლის ზედაპირზე ხელების მოძრაობაზე გადააქვთ. თანაც ექსპრომტად ხელების რაღაც უჩვეულო მოძრაობას იგონებენ. თუმცა, ლამაზად კი გამოსდით, მაგრამ სინქრონულ ცურვას თავისი კანონები აქვს — ყველაფრის მოგონება არ შეიძლება. არა, ნამდვილად მეცოდებიან ეს სოხუმელი გოგონები. რა კარგები არიან, მაგრამ რა ქნან?...

სარბიელზე ქუთაისელ ანა ჯაშს უხმეს. მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ამას ნინო მაისურაძეც გვიდასტურებს.

— საერთოდ, ქუთაისელებმა თავიანთი ოსტატობა მნიშვნელოვნად აიმაღლეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი უფროსი მწვრთნელი ტატიანა კოსტარევა თბილისში ხანგრძლივი და ხშირი შეკრებებიდან თავის ქალაქში დაბრუნდა. ახლა ქუთაისელ და თბილისელ გოგონათა ოსტატობის დონე თითქმის გათანაბრდა. ეს არ შეიძლება არ გვახარებდეს — კონკურენცია ხომ ყურადღების მოდუნების საშუალებას არ იძლევა და გაიძულებს მუდამ ფხიზლად იყო. ქუთაისელებსაც რომ ისეთი პირობები ჰქონდეთ როგორც თბილისელებს, მაშინ საქმე უკეთ იქნებოდა.

მაისურაძის კომპლიმენტები ქუთაისელებმა წყვილთა ასპარეზობაში უფრო გაამართლეს — აქ მეორე და მესამე ადგილები სწორედ მათ დაიკავეს.

ქუთაისელ პრიზიორებს ტატიანა კოსტარევა და დარეჯან ჯოჯუა ავარჯიშებენ. ვფიქრობთ, კარგადაც მუშაობენ, თავად კი გვითხრეს, კარგად რომ ვმუშაობდეთ, ერთეულთა ასპარეზობაშიც პრიზიორი გვეყოლებოდაო, მაგრამ ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ უთქვამთ. განაწყენებულნი ჩანდნენ და მეტი ვერაფერი დავაცდევინეთ — ჩვენს პრობლემებს გაზეთში წერა რას უშველისო...

თავიანთი საქმისა თვითონ იციან, ჩვენ კი ჩვენსას გავაგრძელებთ.

ამ ასპარეზობამ საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატთა რიგებს ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი შეატა. ეს გახლავთ თბილისის 25-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ხათუნა წიკლაური, რომელსაც მწვრთნელთა ბრიგადა სვეტლანა სიდოროვას, ნატალია მაშუკისა და აზა ჯაფაროვას შემადგენლობით ავარჯიშებს.

საერთოდ, ამ ასპარეზობის მონაწილეებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ის კითხვა, წერილის დასაწყისში რომ დავსვით, ღიად არ დარჩენილა.

დიახ, ამ შეჯიბრების პრიზიორებს და სხვებსაც კარგი მონაცემები აქვთ. ახლა საჭიროა მათი მზადების სწორი გზით წარმართვა. საჭიროა სოხუმელთა და ქუთაისელთა ვარჯიშის პირობების გაუმჯობესება და სინქრონული ცურვის გეოგრაფიის გაფართოება, უწინარეს ყოვლისა, ბათუმში ამ სახეობის დანერგვის დაჩქარება და რუსთაველთათვის მწვრთნელის გამოძებნა. ეს უკანასკნელი მით უფრო საშურია, რომ აქ არსებობს ახალი ზამთრის საცურაო აუზი, სადაც შეუფერხებლად შეიძლება ვარჯიში.

როცა ეს პრობლემები მოგვარდება, მაშინ კონკურენციაც გაიზრდება და საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებსაც მეტი არჩევანი ექნებათ.

ავთანდილ გურასაშვილი.

ავტორის ფოტო.

ფიგ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ერთეულთა შეჯიბრება. ხ. წიკლაური — 149,01; ნ. პლოტნიკოვა — 144,54, ა. კულიბერდა (სამივე — თბილისი-I, „შევარდენი“) — 141,14; **წყვილთა შეჯიბრება.** წიკლაური — ლ. ბოკერია — 147,17, თ. კლდიაშვილი — ა. ჯაში — 139,52, ე. ჩადაევა — ე. ნებიერიძე (ორივე წყვილი — ქუთაისი, „მართვე“) —134,25.

გუნდური. თბილისი — 573,34, ქუთაისი—547,65, თბილისი-II — 526,95, აფხაზეთი — 208,24.

გამოცდაზე... პედაგოგები

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ მოსწავლეები მასწავლებელთა წინაშე წარსდგებიან ხოლმე გამოცდაზე, მაგრამ ამჯერად ზესტაფონში პირიქით მოხდა — მასწავლებლებმა თავისებური გამოცდა ჩაატარეს მოსწავლეებს, როცა ზესტაფონის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის რაიონულ პირველობაზე მინიფეხბურთში გამოვიდნენ. პედაგოგთა ეს შეჯიბრება ზესტაფონის სახალხო განათლების ინიციატივით ჩატარდა და დიდი ინტერესი გამოიწვია.

ასპარეზობის მიზანი სკოლის მასწავლებელთა შორის ფეხბურთის მასობრიობისა და რაიონის პედაგოგთა ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა იყო.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზესტაფონის მე-2 და სადგურ სვირის საშუალო სკოლების აღმზრდელთა გუნდები. ეს საინტერესო შეხვედრა მე-2 სკოლის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

ბ. ნებიერიძე,
„ლელოს“ კორ.

ზესტაფონი.

პროფესიონალები პოზიციას არ თმობენ

ბანვლილ კვირას, 28 იანვარს, მოსკოვში შედგა სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის საგანგებო ყრილობა. მიუხედავად იმისა, რომ ახალ კავშირს თავის საქმიანობაში წინ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ეღობება, იგი მაინც აქტიურად იბრძვის თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად. საგანგებო ყრილობას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ყველა ლიგის გუნდების 130-ზე მეტი დელეგაციის წარმომადგენლები.

ადმინისტრაციული საბჭოს მუშაობის შესახებ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა კავშირის პრეზიდენტი ვ. პონედელნიკი. მან განაცხადა, რომ კავშირის წინააღმდეგობანი ფეხბურთის ფედერაციასთან და ფეხბურთის სამმართველოსთან დაიწყო მას შემდეგ, რაც გაიმართა II ლიგის გუნდების მწვრთნელთა საკავშირო თათბირი, რომელმაც დადგენილება მიიღო ე. წ. „ბუფერული ზონის“ გაუქმების შესახებ და საწევრო შენატანების გადარიცხვა დაიწყო კავშირის ანგარიშზე. მას შემდეგ ბიუროკრატიული მექანიზმი სრული ძალით ამუშავდა ლიგების კავშირის გასაუქმებლად, ეს ორგანიზაცია კი თავის მთავარ ამოცანად ისახავს ჭეშმარიტად პროფესიული ფეხბურთის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკიც, რომელმაც ილაპარაკა იმ წინააღმდეგობაზე, რაც არსებობს სსრ კავშირის სპორტსახკომის დადგენილებასა და რეალურ სინამდვილეს შორის, ვინაიდან საკავშირო სპორტსახკომი არსებითად საკუთარი დადგენილების წინააღმდეგ წავიდა.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. კოლოსკოვმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ საკავშირო ჩემპიონატის ჩატარების უფლება ლიგების კავშირს აუცილებლად უნდა მიანიჭოს მთავრობამ, გარდა ამისა, საჭიროა კონკრეტული კანონი პროფესიულ ფეხბურთზე, ხოლო რაც შეეხება არსებულ კონფრონტაციას, ფედერაციას საამისო სურვილი სრულიადაც არა აქვს.

კამათში მონაწილე მწვრთნელები, ფეხბურთელები, სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ ფეხბურთს ესაჭიროება პროფესიული, შეთანხმებული ხელმძღვანელობა და არა კონკლაობა, რომ აუცილებლად საჭიროა ფეხბურთელთა პროფესიული კავშირების შექმნა, საპენსიო ფონდის შექმნა და სხვა მრავალი. ლიგების კავშირის ყრილობა თითქმის 9 საათს გაგრძელდა.

ყრილობამ მოითხოვა უახლოეს ხანებშივე და არა 15 თებერვლისთვის ჩამოყალიბდეს 1990 წლის საკავშირო პირველობის სტრუქტურა, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა უმაღლეს ლიგაში გამოვიდეს 16 გუნდი, I ლიგის 40 გუნდი დაიყოს, 2 თანაბარ ზონად, ხოლო II ლიგაში შეიქმნას 8 ზონა. გაუქმებულია ყოველგვარი გადასასვლელი ტურნირები. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საკავშირო ჩემპიონატი ყველა ლიგაში მიეკუთვნება სსრკ საფეხბურთო ლიგების კავშირის კომპეტენციას, რომელიც სსრ კავშირის სპორტსახკომის მიერაა შექმნილი.

ნაკრები შეუდგა მზადებას

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები წლევანდელ სეზონში პირველად შეიკრიბა მოსკოვის მახლობლად, ნოვოგორსკის სპორტულ ბაზაზე, და შეუდგა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ დაასახელა შემადგენლობა, რომელიც მიემგზავრება იტალიაში იქაურ გუნდებთან ამხანაგური მატჩების გასამართავად: მეკარეები — ჩანოვი, ხარინი და ჩერჩესოვი; მცველები — ბესონოვი, ლუჭნი, კუზნეცოვი, ზიგმანტოვიჩი, ფოკინი, კეტაშვილი, ცვეობა, დემიანენკო; შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები — ლიტოვჩენკო, რაცი, ტიშჩენკო, ჩერენკოვი, მიხაილიჩენკო, ტატარჩუკი, იაკოვენკო, იარემჩუკი, ივანაუსკასი, პროტასოვი, როდიონოვი, კოლივანოვი, ნარბეკოვასი. ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო პირველ შეკრებაზე ვერ მიიწვიეს კირიკოვი და დობროვოლსკი, ალეინიკოვი, ჩერედნიკი, ხიდიატულინი, ალეინიკოვი, ზავაროვი, ბოროდიუკი, გორლუკოვიჩი, ბელანოვი და ლიუტი. რომლებიც უცხოეთის კლუბებში თამაშობენ. საერთოდ, უცხოეთში მოთამაშე ჩვენს ფეხბურთელებს პროფესიული კლუბები შეკრებებზე არ გამოუშვებენ, ისინი მხოლოდ საწვრთნელ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას.

რევაზ ჩელებაძე — საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი

ამას წინათ შედგა ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელმაც მოისმინა და გააანალიზა შარშანდელ სეზონში კლუბის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, აგრეთვე, ორგანიზაციული საკითხები.

საბჭოს წევრებმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რევაზ ჩელებაძე, რომელიც ადრე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო, ერთხმად აირჩიეს ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტად.

ცვლილებები მოხდა კლუბის საბჭოს გამგეობის შემადგენლობაშიც, საბჭომ მოისმინა ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის ანგარიში. (ინფორმაცია გააკეთა ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კ. ჩხატარაშვილმა).

ოთარ მურვანიძე.

რამდენიმე თვე მიმდინარეობდა თბილისის პირველობა ფეხბურთში 1976 წელს დაბადებულ ჰაბუკთა შორის. ზედიზედ მეორედ გამარჯვებულის სახელი მოიპოვა თბილისის „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის გუნდმა (დირექტორი ო. უშვერიძე, მწვრთნელი თ. ჩარკვიანი), მეორე ადგილზე 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდი გავიდა, მესამე ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებს.

• • •

სურათზე: პირველობაში გამარჯვებული თბილისის „დინამოს“ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის გუნდი.

სოხუმის „დინამო“ ემზადება

სოხუმი. ახალი საფეხბურთო სეზონისთვის ემზადება სოხუმის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი. სოხუმელებმა ამას წინათ დაბა ეშერის სპორტულ ბაზაზე ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს ორჯონიკიძის „სპარტაკთან“, რომელიც სოხუმის „დინამოსთან“ ერთად იასპარეზებს საკავშირო გათამაშების პირველ ლიგაში. ორივე თამაში საინტერესოდ წარიმართა და ფრედ დამთავრდა — 1:1 და 2:2. პირველ შეხვედრაში სოხუმელთაგან ბურთი გაიტანა გ. გოგრიჭიანმა, ხოლო მეორეში — რ. ხაგბამ და გ. ჩალიგავამ.

ამ შეხვედრებში დინამოელთა ღირსებას იცავდნენ მეკარეები ბენიძე და ჟორჟოლიანი, მინდვრის მოთამაშეები ბონდარუკი, ჩეკუნოვი, დოჩია, ჩიხრაძე, მალანია, ინალიშვილი, ახვლედიანი, თარბა, გოგრიჭიანი, ჩალიგავა, ხაგბა, არუთინიანი, აგრეთვე, დებიუტანტები კაკუბავა (ოჩამჩირიდან), გლუშჩენკო (ახალი ათონიდან), ტრუვალიოვი (ტყვარჩელიდან).

თენგიზ პაჭკორია.
(„ლელოს“ კორ.).

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

სენსაცია ინგლისში

სენსაციური ინგლისით დამთავრდა ინგლისის საფეხბურთო თასის მე-4 წრის მატჩი ლონდონის ცნობილი „ჩელსისა“ (იგი ამჟამად მე-6 ადგილზეა უმაღლეს დივიზიონში) და III დივიზიონის კლუბ „ბრისტოლ სიტის“ შორის. გაიმარჯვა „ბრისტოლ სიტიმ“ — 3:1. „ლივერპულმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ნორვიჩთან“ — 0:0.

რუმინელთა მარცხი

საფრანგეთის ქალაქ მარსელში ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი საწვრთნელ მატჩში შეხვდა რუმინეთის ნაკრებს. სტუმრებმა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთ ჯგუფში არიან სსრ კავშირის გუნდთან ერთად, მარცხი განიცადეს — 1:2.

ჯობს ჩემპიონატი შეწყდეს...

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კოსტა-რიკის ფეხბურთის ფედერაციამ. ეროვნული ჩემპიონატი შეწყდება, მატჩები არ ჩატარდება იმის გამო, რომ ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადების პირობები შეექმნას. თვით ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩების მთელ სერიას გამართავს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბები კი ფულად კომპენსაციას მიიღებენ.

ჯილდო ზიკოს მიეკუთვნა

1989 წლის სეზონში ბრაზილიის №1 ფეხბურთელად მიიჩნიეს ზიკო, რომელსაც ჟურნალ „პლაკარის“ მიერ დაწესებული ჯილდო „ბოლა დე პრატა“ მიეკუთვნა.

ეს სეზონი, როგორც ცნობილია, უკანასკნელი იყო ზიკოს ხანგრძლივ საფეხბურთო კარიერაში.

ნორდინი — საუკეთესო მწვრთნელი

შვეიცის სპორტული ჟურნალისტების სპეციალური გამოკითხვის შედეგად, ამ ქვეყნის №1 მწვრთნელად 1989 წლის შედეგების მიხედვით მიჩნეულია ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელი ოლე ნორდინი.

ჟურნალისტების ადრინდელი გამოკითხვისას უძლიერესად მიჩნეული იყო ქვეყნის მოკრიფვითა ნაკრების მწვრთნელი ლეიფ კარლსონი.

„მხოლოდ“ 2200 ჟურნალისტი

იმის გამო, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი ფედერაცია ფიფა-ს თხოვს ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ჟურნალისტთა სულ უფრო და უფრო დიდი ჯგუფების მიღებას, შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტი აცხადებს, რომ მას საშუალება არ ექნება მეტი ჟურნალისტის აკრედიტაციისთვის. ძველი რაოდენობა ძალაში დარჩება— 2200.

გარდაიცვალა ლანტოში

გარდაიცვალა 61 წლის გამოჩენილი უნგრელი ფეხბურთელი, „დიდი გუნდის“ მცველი მიხაი ლანტოში. თავის ეროვნულ ნაკრებში მას 52 მატჩი ჰქონდა ნათამაშევი, იყო ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი.

კლაფის მეათასე მატჩი!

„ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და „ნოტინგემ ფორესტის“ მატჩი (2:3) ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში რიგითი იყო, ნოტინგემელთა გამოჩენილი მწვრთნელის ბრაიან კლაფისთვის კი საიუბილეო. მისთვის, როგორც ინგლისის პროფესიული ლიგის მენაჯერისთვის, ეს მეათასე მატჩი გახლდათ.

4 გოლი გაიტანა!

„ვულვერჰემპტონ უონდერერსისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი სტივ ბული ოშვიათი შედეგიანობით გამორჩევა. ინგლისელი მომომხილველები მიიჩნევენ, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატში გარი ლინეკერთან ერთად მეტად ძლიერი დუეტი უნდა შექმნას.

ამას წინათ „ნიუკასლ იუნაიტედისა“ და „ვულვერჰემპტონის“ შეხვედრაში (1:4) ოთხივე გოლი მეტოქის კარში სწორედ ბულმა გაიტანა.

მიხაილიჩენკოს ეპატიჟებიან

მადრიდის „რეალის“ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მომდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ აღარ განახლდება ხელშეკრულება ორ უცხოელთან — დასავლეთგერმანელ ბერნდ შუსტერსა და არგენტინელ ოსკარ რუჯერისთან. მიზეზი ისაა, რომ ეს ფეხბურთელები ვერ შეეთვისნენ „რეალის“ სტილს. ესპანეთის ჩემპიონის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ შუსტერს წარმატებით შეცვლის ალექსეი მიხაილიჩენკო, თუმცა მას მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რამდენიმე იტალიური კლუბიც ეპატიჟება.

1990 წელი, აგვისტო, არგენტინა...

ბუენოს-აირესი. როგორც ცნობილია, წელს, აგვისტოში არგენტინის დედაქალაქი უმასპინძლებს კალათბურთელ ვაჟთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატს. ტურნირში მონაწილე 16 გუნდი ოთხ წინასწარ ჯგუფადაა დაყოფილი. ორ-ორი უძლიერესი კოლექტივი მეოთხედფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს. ჯგუფური ტურნირები ჩატარდება 8-10 აგვისტოს.

მეოთხედფინალში გასული გუნდები, თავის მხრივ, ორ ჯგუფს შექმნიან. აქაც გამოვლინდება ორ-ორი უძლიერესი, რომლებიც ნახევარფინალებისთვის დაწყვილდებიან. მეოთხედფინალური ტურნირები ჩატარდება 13-15 აგვისტოს. ნახევარფინალურ მატჩებს კი ეთმობა ერთი დღე —17 აგვისტო. მესამე ადგილისთვის ბრძოლა გაიმართება მეორე დღეს, ფინალური მატჩი კი 19 აგვისტოს.

კენჭისყრის შემდეგ წინასწარ ჯგუფებში მოხვდნენ: I ჯგუფი (თამაშები ჩატარდება ქალაქ სანტა-ფეში) იუგოსლავია, ვენესუელა, პუერტო-რიკო, ანგოლა; II ჯგუფი (როსარიო). ბრაზილია, ავსტრალია, იტალია, ჩინეთი; III ჯგუფი (ბუენოს-აირესი) აშშ, ესპანეთი, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა; IV ჯგუფი (კორდობა) სსრ კავშირი, კანადა, არგენტინა, ეგვიპტე.

გთავაზობთ ჯგუფური ტურნირების შეხვედრათა კალენდარს:

8 აგვისტო. იუგოსლავია —ვენესუელა, პუერტო- რიკო — ანგოლა, ავსტრალია — ჩინეთი, ბრაზილია — იტალია, აშშ — საბერძნეთი, ესპანეთი — სამხრეთ კორეა, კანადა — ეგვიპტე, სსრ კავშირი — არგენტინა.

9 აგვისტო. იუგოსლავია — ანგოლა, პუერტო-რიკო — ვენესუელა, ავსტრალია — იტალია, ბრაზილია — ჩინეთი, აშშ — სამხრეთ კორეა, ესპანეთი — საბერძნეთი, კანადა — არგენტინა, სსრ კავშირი — ეგვიპტე.

10 აგვისტო. იუგოსლავია — პუერტო რიკო, ვენესუელა — ანგოლა, იტალია — ჩინეთი, ბრაზილია — ავსტრალია, აშშ — ესპანეთი, საბერძნეთი — სამხრეთ კორეა, არგენტინა — ეგვიპტე, სსრ კავშირი — კანადა.

ციგები ექსპორტზე

ორბზის ოლიმპიური ჩემპიონის, გდრ-ის ცნობილი ბობსლეისტის ვოლფგანგ ჰოპეს აზრით აღმოსავლეთ გერმანიაში დამზადებული ციგები უსათუოდ უნდა გახდეს ექსპორტის საგანი. ეს მოსაზრება მან მსოფლიო თასის გათამაშებაზე გამოთქვა. ჰოპე დარწმუნებულია, რომ ექსპორტი ხელს შეუწყობს სპორტში ფინანსური კლიმატის გაუმჯობესებას და პირველ რიგში თავად ბობსლეისტებს გამოადგება.

ეს „საოცრება-ციგები“ ბოლო დროს შესამჩნევად გადაკეთდა და გაუმჯობესდა. ორი წლის წინ გდრ-ის მარკის ციგებში 38 ათას დასავლეთგერმანულ მარკას იძლეოდნენ. მაგრამ მაშინ ამ წამოწყებას მხარი არ დაუჭირა ოფიციალურმა ბერლინმა.

ახლა, ჰოპეს აზრით გდრ მზადაა დაამზადოს ათი გასაყიდი ციგა, 1991 წლის ზამთრის სეზონისთვის კი შესაძლებელია ექსპორტის ორმაგად გაზრდა. როგორც ცნობილია, ციგების ფასი მსოფლიოს ბაზარზე მუდმივად მერყეობს და ამჟამად 25 ათას დასავლეთგერმანულ მარკას შეადგენს.

უფრო დიდი „მეჯლისის“ მოლოდინში

სამეჯლისო თუ სპორტული — ეს საკითხი ჩვენში დიდხანს იყო კამათის საგანი. თუმცა მთელ რიგ ქვეყნებში — ინგლისში (ამ ცეკვების სამშობლო), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ნორვეგიაში, დანიაში, შვეიცარიაში და სხვ. 1909 წლიდან უკვე არსებობდა მსოფლიო სპორტული ცეკვების ფედერაცია. საბჭოთა კავშირის წამყვანი სპეციალისტები დიდი ხანია იბრძოდნენ, რომ სამეჯლისო ცეკვებისთვის სპორტული სტატუსი მოეპოვებინათ, მაგრამ ეს საკითხი მხოლოდ შარშან გადაწყდა. შეიქმნა სპორტული ცეკვების საკავშირო ასოციაცია (პრეზიდენტი ჩესლოვა ნორვეგიჩი, ლიტვა). ამ ასოციაციის პრეზიდიუმის წევრია ჩვენი წამყვანი სპეციალისტი თენგიზ გაჩეჩილაძე. მისი და სპორტული ცეკვების რესპუბლიკური გაერთიანების ინიციატივით სამი დღის განმავლობაში თბილისს ბავშვთა კალათბურთის სასახლეში მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზზე სპორტული ცეკვების ღია საკავშირო ტურნირი „თბილისი-90“. სპონსორებმა — მსუბუქი შრეწველობის სამინისტრომ და მაუდ-ჯამოლის კომბინატმა „საბჭოთა საქართველომ“ არაფერი დაიშურეს, რომ ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

თბილისელი მაყურებლისათვის სპორტული ცეკვები ახალი ხილი როდია. მაგრამ ამდენი მაღალი დონის ცეკვის ოსტატის გამოსვლა პირველად ვიხილეთ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სპორტული ცეკვების პარალელურად თავის ხელოვნებას უჩვენებდნენ საქართველოს კულტურის სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი — „არაგველები“, მოსწავლეთა და პიონერთა სასახლის ანსამბლი „გორდა“.

შეჯიბრებები გაიმართა სამ კლასში. ყველაზე დაბალ C (მოზარდთა) კლასში გაიმარჯვა თბილისელთა წყვილმა — მიშიკო ოდიკაძემ და ნატო დვალიშვილმა (დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კულტურის სახლის ანსამბლის წევრები). ა კლასში ბადალი არ ჰყავდა კლაიპედელ (ლიტვა) წყვილს ნორვილას ჟიბკინას და პუტრუიტე დაინას. S (საერთაშორისო) კლასში — ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ თბილისელები გოჩა ჩერტკოევი და შორენა გაჩეჩილაძე (ანსამბლი „თელა“). გაიმარჯვა კლაიპედელთა წყვილმა დომაეკარ ვიტაუტასმა და რუტა საულისტმა, ევროპულ ცეკვებში უძლიერესი იყო ამავე ქალაქის წარმომადგენლები ანდრიევსკის კიასტიტიური და დურობაიტე რენატა. გამარჯვებულებს პრიზები გადასცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა.



მაყურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილემ კლაიპედის ანსამბლმა „ჟიუვედრამ“. მათ ყოველ ნომერს დარბაზი ოვაციით ხვდებოდა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სპორტული ცეკვების საკავშირო ასოციაციის სამსაჯო კოლეგიის თავმჯდომარეს იური სიმონოვს:

— ისტორიულად სამეჯლისო ანუ სპორტული ცეკვების ცენტრებად ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, მოსკოვი და ლენინგრადი ითვლება. ძირითადად აქ იმართება ყველა დიდი ტურნირი. ჩვენი მიზანია, რომ ასპარეზობის ჩატარების გეოგრაფია გავზარდოთ. ამ მხრივ თბილისს კარგი შანსი აქვს. ასეთ მშვენიერ დარბაზში, როგორიც კალათბურთის სასახლეა, ევროპული ტურნირის მოწყობაც შეიძლება. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ქართული სპორტული ცეკვების დონე თანდათან მაღლდება. ამის შესანიშნავი მაგალითია საერთაშორისო კლასში მესამე ადგილზე გასულ გოჩა ჩერტკოევ-შორენა გაჩეჩილაძის წყვილის წარმატება. მათ უაღრესად საინტერესო პროგრამა გვიჩვენეს, რომელიც კავკასიური ტემპერამენტით იყო შეზავებული. ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში სხვადასხვა რანგის 30 ასეთი ტურნირი ტარდება. თბილისში ამჯერად შედარებით ახალგაზრდა მოცეკვავეები გამოვიდნენ. ნოემბერში კი თბილისი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს.

ჩვენი მხრიდან იმასღა დავუმატებთ, რომ ტურნირის შემოსავლის ნაწილი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ფონდში გადაირიცხება.

ჯემალ კასრაძე.



სურათებზე: ზევით — გოჩა ჩერტკოევ-შორენა გაჩეჩილაძის წყვილი; ტურნირის ეპიზოდები.

ავტორის ფოტო.

ეჰ, ნახტომი!

საკმაოდ „სოლიდური“ სიმაღლე გადალახა საქართველოს პრეფექტურა საბჭოს ძმადგომობის სპეციალიზებული სკოლის აღზრდილმა ვლადიმერ მინაკოვმა (მწვრთნელი გენადი სავჩენკო) პროფკავშირულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, რომელსაც ზაპოროჟიემ უმასპინძლა. 219 სანტიმეტრი — აი, შეჯიბრების ჩემპიონის შედეგი. იქვე საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა დიანა ხუბაშვილმა 60 მეტრზე რბენაში (7,78 მეექვსე ადგილი).

ნბა-ს ახალი ამბები

ნიუ-იორკი. ნბა-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ლიგაში უყრადსაღები ამბავი მოხდა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, რაც ტრავმით და მისი მკურნალობით იყო გამოწვეული „ბოსტონ სელტიკსს“ დაუბრუნდა თავისი ლიდერი ლარი ბიორდი. მისი გამოსვლა მოედანზე კლუბს მაშინვე დაეტყო. ბოსტონელებმა მორიგ მატჩში დაამარცხეს „ფენიქს სანსი“ — 126:118. ბიორდმა თავის კლუბს 22 ქულა შესძინა.

პროფესიულ კალათბურთში მუდმივად ტარდება მაყურებლების გამოკითხვა. ამ გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დგება „ოლდ სტარზის“ ორი ნაკრები, რომლებიც ტრადიციულ მატჩში ხვდებიან ერთმანეთს სეზონის ბოლოს. გამოკითხვაში დღეისთვის საგრძნობლადაა დაწინაურებული „ჩიკაგო ბულსის“ ლიდერი მაიკლ ჯორდანი. მილიონ 162 ათასი ხმიდან მან 321 ათასი ხმა მიიღო. ახლახან გადატანილი ტრავმის მიუხედავად მეორე ადგილს ლარი ბიორდი ინარჩუნებს — 248 ათასი, მომდევნო ადგილებზე არიან „მაჯიკ“ ჯონსონი („ლოს ანჯელეს ლეიკერსიდან“) და პატრიკ ევინგი („ნიუ-იორკ ნიკსიდან“).

რა მდგომარეობაა დღეისათვის ნბა-ს ჩემპიონატში:

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ნიუ-იორკი“	27	15	64,3
„ფილადელფია“	26	16	61,9
„ბოსტონი“	25	16	61,0

ცენტრალური დივიზიონი

„დეტროიტი“	29	14	67,4
„ჩიკაგო“	27	15	64,3
„მილუოკი“	24	19	55,8

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

„იუტა ჯაზი“	29	11	72,5
„სან-ანტონიო“	27	13	67,5
„დენვერი“	23	19	54,8

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„ლოს-ანჯელესი“	31	9	77,5
„პორტლენდი“	30	11	73,2
„ფენიქსი“	24	16	60,0

„სპორტპროგნოზი“

მე-4 ტირაჟის შედეგები

(27-28 იანვარი)

1—1, 2—1, 3—2, 4—2, 5—X, 6—X, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—X, 12—2, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გათამაშდა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის კიდევ ერთი საგზური. ბედნიერი ბილეთის ნომერია 62818188, სერია „CA“.

კალეიდოსკოპი

შეიხის გატაცება

არაგთა გაერთიანებული ემირატების შეიხი მოჰამედ მახტუმი და მისი ძმა ჰამდან ალ-მახტუმი ათი წელია, რაც საცხენოსნო სპორტის მონოპოლისტები გახდნენ ბრიტანეთში. შარშან შეიხის ცხენებმა მოიგეს ინგლისსა და ირლანდიაში გამართული ყველა მნიშვნელოვანი დღე და პრემიების სახით 3,7 მილიონი ამერიკული დოლარი დაიმსახურეს. ადგილობრივი მიმომხილველების აზრით შეიხმა არსებობის საფუძველი გამოაცალა თვით ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის საჯინიბოებს.

მახტუმების ოჯახს გადაწყვეტილი აქვს მთლიანად დაიპყროს ირლანდიის საცხენოსნო ბაზარი და მაშინ იგი კიდევ უფრო მეტად განიმტკიცებს პოზიციებს. ევროპაში შეიხი უკვე ფლობს ირლანდიის ექვს საცხენოსნო-სპორტულ კომპლექსს, სადაც გამოჰყავთ, ზრდიან და ჰყიდიან წმინდა სისხლის ცხენებს.

ოჯახის თანაშემწე ირლანდიაში მაიკლ ოსბორნი დარწმუნებულია, რომ მოჰა�̂ედის ცხენები სულ მალე გავლენ ევროპულ დონეზე და პირველობას ჩამოართმევენ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამჟამად შეიხი მოლაპარაკებას ეწევა ირლანდიაში კიდევ ერთი ფირმის „ოლდ კონელის“ შესყიდვის თაობაზე. ეს გარიგება ოჯახს ორი მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება. აქ საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ, რომელიც სულ მცირე ორ წელიწადს გაგრძელდება, გამოიყვანენ ახალი ჯიშის ცხენებს. შეიხის კუთვნილებას წარმოადგენს კილდანგანის საცხენოსნო-სპორტული კომპლექსი თავისი ვეებერთელა ტერიტორიით (1500 აკრი) და სარეკორდო დიდი მომსახურე პერსონალით (110 კაცი).

შეიხის საჯინიბოებში ყოველწლიურად 130 კვიცი იბადება. მათ ჰყიდიან ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და, ასე განსაჯეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

76 ტურნირი

როგორც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცხობაშია ნათქვამი, 1989 წელს „გრან პრის“ პროგრამით 76 საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა.

ყველაზე მეტჯერ, 10-ჯერ შეჯიბრებაში ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) გაიმარჯვა. 5-5 პირველი პრიზი მოიპოვეს ბეკერმა (გფრ) და ჯილბერტმა (აშშ). მაკენროისა და კრიკშტეინს (ორივე — აშშ) 3-3 მოგება აქვთ. ედბერგს (შვეიცარია), ჩანგს, კონორსს (ორივე — აშშ) — 2-2 და ა. შ.

მატჩი მაინც შედგება

ბენ ჯონსონისა და კარლ ლუისის შეხვედრა 1990 წელს ალბათ შედგება. როგორც ცნობილია, კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე რეკორდი მოიგო 100 მ. რბენაში. მაგრამ ორი დღის შემდეგ ამხილეს დოპინგის მიღებაში და მედალთან ერთად ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტსმენი სანიმუშოდ დასაჯა — ორი წლით აუკრძალა შეჯიბრებებში მონაწილეობა. სასჯელის ვადა წლეულს სექტემბერში გადის. ასე რომ, 25 სექტემბერს ჯონსონი და მეორე საბელგანთქმული სპრინტერი, ამერიკელი კარლ ლუისი ერთმანეთს შეხვდებიან ბარსელონის ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე.

ყოველ შემთხვევაში ყველაფერი იქით მდის, რომ ეს შეხვედრა ჩატარდეს. ამ თავისებური მინი-მატჩის ორგანიზატორია პროფესიონალ მოკრივეთა ორთაბრძოლების ცნობილი იმპრესარიო ბობ არუმი. გამოცხადდა საპრიზო ფონდის ოდენობაც — 3,2 მილიონი ამერიკული დოლარი.

სხვათა შორის, ჯონსონს არაერთხელ განუცხადებია, რომ ოცნებობს ბარსელონაში გამოსვლაზე. ამ ოცნების განხორციელებას იგი 1992 წელს აპირებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობით. მაგრამ ახლა მას საშუალება ეძლევა უფრო ადრე გაიცნოს თავი ესპანელ გულშემატკივრებს. მომავალი შეხვედრის ტელეტრანსლაციის სურვილი სამოცზე მეტმა ქვეყანამ გამოთქვა. მანამდე კი... ჯონსონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით უამრავი ფორმალობა უნდა შესრულდეს.

უველა ლაურეატი

ბელგრადი. ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ყველა პრიზი გათამაშდა. ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) და სტეფან ედბერგი (შვეიცარია). პირველი ხელი მოიგო ედბერგმა — 6:4, მეორე— ლენდლმა 7:6. ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი წინ იყო მესამე პარტიაშიც (5:2), მაგრამ დაშავდა და ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება და თამაში შეწყვიტა. პირველი ადგილი და მასთან ფულადი პრემია 200 ათასი დოლარის ოდენობით დაისაკუთრა ლენდლმა.

ქალთა ერთეულების ფინალში დასავლეთგერმანელმა შტეფი გრაფმა დაამარცხა 18 წლის ამერიკელი მერი-ჯო ფერნანდესი (6:3, 6:4) და „დიდი მუზარადის“ სერიის ტურნირი მეცხრედ მოიგო. საინტერესოა, რომ გრაფს ზედიზედ ორმოცდარვა მატჩი არ წაუგია. რეკორდი კი აქ ამერიკელ მარტინა ნავრატილოვას ეკუთვნის (ზედიზედ 74 დაუმარცხებელი შეხვედრა).

ქალთა წყვილების ფინალური ორთაბრძოლა ჩეხოსლოვაკიელებმა ჰელენა სუკოვამ და იანა ნოვოტნიმ ამერიკელებს ჯიჯი ფერნანდესსა და პეტი ფენდიკს მოუგეს— 7:6, 7:6. ვაჟთა დუეტების გადამწყვეტ ორთაბრძოლაში პიტერ ოლდრიჩმა და დანი ვისერმა (ორივე — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) კანადელები გრანტ კონელი და გლენ მიჩიბატა დაამარცხეს—6:4, 4:6, 6:1, 6:4.

შერეულ წყვილთა შორის, როგორც ვიუწყებოდით, ავსტრალიის ჩემპიონები გახდნენ ნატალია ზვერევა (სსრკ) და ამერიკელი ჯიმ პიუ.

დაბოლოს, იუნიორთა ტურნირში გამარჯვებულებზე. გოგოებში პირველი ადგილი ბულგარელმა მაგდალენა მალეევამ დაისაკუთრა, ჭაბუკებში კი დასავლეთგერმანელმა დირკ დირმა.

კალეიდოსკოპი

რედაქტორის მოადგილე

უ. ჯიჯინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709